

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი

28.06.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

*საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:*

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;  
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;  
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;  
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;  
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

პეტრე წურწუშია - დირექტორის პირველი მოადგილე;  
ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;  
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;  
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;  
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;  
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;  
გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

*ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. ვაჰაკიძე ლალი - შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ დირექტორის მოადგილე;
2. მანანა მალაზონია - შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ დირექტორის მოადგილე;
3. მარინა გორშკოვა - სპს - კერძო საშუალო სკოლა "დავითიანი - მარინა გორშკოვას" დირექტორი;
4. ზაირა კვიციანიძე - შპს - "რუსთაველის" დირექტორი;
5. გულიკო ხატიაშვილი - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა "მოდგარის" წარმომადგენელი;
6. მზია ნარიმანიძე - შპს - "პედაგოგის" დირექტორი;
7. გულჩინა ჭიკაძე - შპს - "საუნჯეს" დირექტორი;

8. ბელა გოციძე - შპს - "მზეკაბანის" დირექტორი;
9. გიორგი ბერაია - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას დირექტორი;
10. კახაბერ ერაძე - შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს რექტორი;
11. რეზო შარაბიძე - ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის დირექტორი;
12. ნინო მიქაძე - შპს - ნ&ნ 2000-ის დირექტორის მოადგილე;

**ავტორიზაციის ექსპერტები:**

- ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სპს - კერძო საშუალო სკოლა "დავითიანი - მარინა გორშკოვა"-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - "რუსთველში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა "მოძღვარში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - "პედაგოგში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - "საუნჯეში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - "მზეკაბანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიასათვის პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

9. შპს - საქართველოს ზიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

10. ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისათვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

11. შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

**1. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## **2. სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 28 ივნისს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-6587) შესწავლის შედეგად ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სპს - კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

### **3. შპს- რუსთველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 26 ივნისს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-6193) შესწავლის შედეგად ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - რუსთველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რუსთველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - რუსთველის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

#### **4. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა „მოდვარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 27 ივნისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-6380) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა „მოდვარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა „მოდვარის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლა „მოდვარის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## 5. შპს - პედაგოგში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 26 და 28 ივნისს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-6211, №03-6805) შესწავლის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების მხოლოდ ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, მომხსენებელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში არსებული შენიშვნები:

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლს გააჩნია ლაბორატორია, რომელიც არ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებს. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა 2011 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება შპს - ჯეო დეკორთან, რომლის მიხედვითაც სკოლას ლაბორატორიის ღირებულება სრულად უნდა დაეფარა 2012 წლის მარტის ბოლომდე, ხოლო ლაბორატორიის მიწოდების ბოლო ვადად დაფიქსირებულია 2012 წლის 30 აპრილი. დაწესებულებას გადახდილი აქვს თანხის ნაწილი 3000 ლარი, ამდენად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები მხარეების მიერ დღემდე არ შესრულებულა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შპს - ჯეო დეკორის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ვერ მოხდა დაწესებულებისთვის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობის მიწოდება, რადგან ფიზიკურად, კომპანიას ჩამოტანილი არ ჰქონდა აღნიშნული ინვენტარი.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის გადადებას შემდგომი სხდომისთვის აზრი არა ჰქონდა, რადგან ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია იყო არა სკოლაზე, არამედ შპს - ჯეო დეკორზე.

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა რეკომენდაციით, რომ სასწავლო წლის დაწყებდამე მონიტორინგის სამსახურმა გადაამოწმოს, იქნება თუ არა, შპს - პედაგოგში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ



გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - პედაგოგში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პედაგოგის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - პედაგოგის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## **6. შპს - „საუნჯეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლას გააჩნია 5 უსაფრთხოების კამერა. აქედან 2 განთავსებულია სკოლის გარე პერიმეტრზე, ხოლო დანარჩენი 3 სკოლის შენობაში. ვინაიდან, გარე პერიმეტრის კამერებით სრულად ვერ კონტროლდება ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი, სკოლას ესაჭიროება დამატებით ცენტრალური შემოსასვლელში 2 (ორი) და სათადარიგო გასასვლელისათვის 1 (ერთი) უსაფრთხოების კამერა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, კანონმდებელი, ხარვეზის გამოსწორებისათვის მაქსიმალურ ვადად 15 დღეს განსაზღვრავს, ამდენად, საბჭოს მხოლოდ აღნიშნული ვადის ფარგლებში შეუძლია განუსაზღვროს დაწესებულებას ვადა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, 15 დღე საკმარისი იქნება ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „საუნჯის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნის გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 15 დღის ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „საუნჯეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - „საუნჯეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

## **7. შპს - მზეკაბანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 28 ივნისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-6597) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - მზეკაბანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მზეკაბანის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მზეკაბანის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## **8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის სილაბუსებში პროფესიულ სტუდენტის შეფასება ხორციელდება მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე, შუალედური შეფასების გარეშე. მოცემული წესი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

1.2 წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობები არ არის გაწერილი ადეკვატურად. კერძოდ:

ა) მე-2 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ - სილაბუსში წინაპირობის გრაფაში მითითებულია პირველი საფეხურის დროს გავლილი სასწავლო კურსები, რომელთა შედეგად მიღებული ცოდნა დასტურდება პროფესიული სტუდენტის პირველის საფეხურის დიპლომით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს საქმისწარმოების“ - სილაბუსში წინაპირობაში განსაზღვრულია საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი საგანმანათლებლო პროგრამით არ ისწავლება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის მოთხოვნითაც არ არის განსაზღვრული.

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის ა) ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულია „საატესტაციო - საკვალიფიკაციო გამოცდა“. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში დაწესებულების მიერ დრო განაწილებულია შემდეგნაირად: - 13 სთ ინდივიდუალური, 12

სთ საკონტაქტო, 6 სთ კონსულტაცია, 6 სთ დასკვნითი გამოცდა. ჯამში საათების რაოდენობა აჭარბებს 25 საათს და ერთი კრედიტის ნაცვლად 1.48 კრედიტია. გარდა ამისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები უნდა მოიცავდეს ან თეორიულ კომპონენტს ან/და პრაქტიკულ კომპონენტს, შესაბამისად პროგრამის „სასწავლო გეგმით“ დასტურდება, რომ „საატესტაციო - საკვალიფიკაციო გამოცდის“ სასწავლო პროცესი არ მოიცავს არც თეორიულ და არც პრაქტიკულ კომპონენტს.

მოცემული რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.4 პირველი და მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ სილაბუსებში: “Microsoft Office (Word, Excel, Power Point)” (პირველი საფეხური) და “Microsoft Office (Word, Excel, Power Point)” (მეორე საფეხური) ისწავლება ერთიდაიგივე საკითხები, იგივე მოცულობით, ერთიდაიგივე წინაპირობით, შესაბამისად პროფესიული სტუდენტის მიერ ამ სასწავლო კურსთა გავლა ერთიდაიგივე შედეგებს მოგვცემს, როგორც პირველ, ასევე, მეორე საფეხურზე.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, დებულება არ მოიცავს კოლეჯში საქმისწარმოების წესს, შესაბამისად ვერ დგინდება გამოცემული აქტებისა და შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის შესაბამისობა დადგენილ წესთან.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როდის მოხდა მოცემული ხარვეზების გამოსწორება. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ნაწილი შენიშვნებისა გამოსწორებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს და ნაწილი - ვიზიტის დასრულების შემდგომ.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შეფასებას ახდენდნენ მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე. ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკული კომპონენტის შეფასება შეუძლებელია განხორციელდეს შუალედური შეფასებების საფუძველზე. ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, სასურველია პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხდებოდეს განსხვავებული წესით. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კოლეჯში არსებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების წესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებას. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული შენიშვნა იყო გამოსწორებული.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, 1.2 შენიშვნის „ა“ ქვეპუნქტი იყო არაარსებითი ხასიათის ვინაიდან მე-2 საფეხურზე მყოფ პროფესიული სტუდენტს შესწავლილი ან აღიარებული ექნებოდა აღნიშნული საგნით გათვალისწინებული

კომპეტენცია. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მოცემული შენიშვნა მიიჩნიეს არაარსებითად.

1.2 შენიშვნის „ბ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა არ იყო მითითებული. ავტორიზაციის ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იყო ინგლისურენოვანი და ექსპერტებმა შეამოწმეს ქართულ ენაზე ნოტარიალური წესით ნათარგმნი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის „სასტუმრო საქმისმწარმოებლის“ სილაბუსის წინაპირობებში მითითებული იყო საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიულ პროგრამაში საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა მითითებული არ იყო. კახი ყურაშვილის განმარტებით, სასწავლო სილაბუსი წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს. სილაბუსის ადგილზე გადამოწმების შედეგად სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ „სასტუმროს საქმისმწარმოების“ სილაბუსის წინაპირობაში განსაზღვრული იყო საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა. ავტორიზაციის საბჭოს წევრის ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, უმჯობესი იყო სილაბუსის წინაპირობაში მოცემული არ ყოფილიყო საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენდა არსებითი ხასიათის შენიშვნას.

1.3 შეიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ არასწორად იყო გაგებული კოლეჯის მიერ საათების გადანაწილება, კერძოდ, 13 საათი ეთმობოდა ინდივიდუალურ მუშაობას და 12 საათი - საკონტაქტოს. ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, თუ რას მოიცავდა საკონტაქტო საათი. დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 12 საათში გათვალისწინებული იყო კონსულტაციისა (6 საათი) და დასკვნითი გამოცდის (6 საათი) საათები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ საათების რაოდენობა არ აჭარბებდა 25 ასტრონომიულ საათს. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიერ მოცემული შენიშვნა არ იქნა გაზიარებული.

1.4 შენიშვნაზე კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ პირველი და მე-2 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განსხვავდებოდნენ მისაღწევი მიზნითა და შედეგებით. ავტორიზაციის ექსპერტმა მათა ხურცილავამ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა შინაარსობრივად იყო იდენტური. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა აღნიშნა, რომ ორივე საფეხურის სასწავლო მასალა იყო ერთიდაიგივე, თუმცა მე-2 საფეხურზე, პირველი საფეხურისგან განსხვავებით ისწავლებოდა შედარებით გართულებული საკითხები. ადგილზე გადამოწმების შედეგად სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად სილაბუსების შინაარსობრივი მსგავსებისა, მიზნები და შედეგები იყო განსხვავებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნა, რომლის თანახმადაც სილაბუსებში მოცემული სასწავლო კურსები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ სწავლის მიზნითა და შედეგებით. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, შესაძლებელია ერთი სახელმძღვანელოთი ისწავლებოდეს ორ სხვადასხვა საფეხურზე არსებული საგანი, თუმცა განსხვავებული უნდა იყო სწავლების მეთოდოლოგია.

2.1 შენიშვნაზე ავტორიზაციის ექსპერტმა მათა ხურცილავამ აღნიშნა, რომ შემოსული და გასული კორესპონდენცია ტარდებოდა ერთ ჟურნალში. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ფაქტობრივად ხდებოდა თუ არა კორესპონდენციის აღრიცხვა.

ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში შემოსული და გასული კორესპონდენცია აღირიცხებოდა.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებების აღრიცხვასთან დაკავშირებით მიახურცილავამ განმარტა, რომ ბრძანებების რეგისტრაცია ხდებოდა ელექტრონული ფორმით და დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი წიგნი, სადაც რიგითობით მოხდებოდა ბრძანებების რეგისტრაცია. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით დაწესებულებას უნდა უზრუნველყო ბრძანებების სანდო ფორმით წარმოება, რაც ამ შემთხვევაში არ იყო სახეზე. ავტორიზაციის ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიაში“ ბრძანებების აღრიცხვის წესი არ იყო შემუშავებული. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი ცალკე დაწესებულებას ბეჭდური და აკინძული ფორმით არ ჰქონდა, კოლეჯი ბრძანებების აღრიცხვას აწარმოებდა ელექტრონული ფორმით.

სხდომის თავმჯდომარის, მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტმა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა რომ ის ვერ მისცემდა ხმას საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 3

წინააღმდეგი-2

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204859634) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი	პირველი	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის პირველი	20

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
3.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი	მეორე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20



## **9. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე კენჭი ეყრებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მხოლოდ ნაწილს, რადგან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი არ იყო ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული.

საბჭომ განიხილა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი	მეორე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2	ოფისის მენეჯერი (ინგლისურენოვანი)	მეორე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
4	ოფისის მენეჯერი (ინგლისურენოვანი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
5	ბიზნესის მართვა	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

**10. ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

საბჭომ განიხილა ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის

სახელობის პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379070) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მემცენარე	მეორე საფეხური	მემცენარის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
2	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	პირველი საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის კვალიფიკაცია	20

## **11. შპს - ნ&ნ 2000 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილია ერთიან დოკუმენტად, თუმცა ის არ მოიცავს სასწავლო მასალის ჩამონათვალს საფეხურისა და საგნების შესაბამისად, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნაა. ამდენად, ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმის III თავის, სასკოლო სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, აგრეთვე, მითითებულია დამხმარე ლიტერატურაც.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განცხადებით, ეროვნული სასწავლო გეგმის III თავის, სასკოლო სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა გულისხმობს, საგნების მიხედვით, ყველა საჭირო მასალის დეტალურ აღწერას.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი, სასწავლო პროცესში იყენებდნენ და მომავალშიც აპირებენ ყველა საჭირო მასალის გამოყენებას.

საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის, განცხადებით, ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლას ავალდებულებს ჰქონდეს გაწერილი აღნიშნული მასალა, თუმცა შესაძლებელია საბჭომ იმსჯელოს აღნიშნული ხარვეზის არსებობაზე.

1.2 I-IV კლასებში მოსწავლეები არ ფასდებიან ქულებით, თუმცა, თუ ვიმსჯელებთ წარმოდგენილი თემატური გეგმებითა და სილაბუსებით, სასწავლო გეგმა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია თანხვედრაში არ არის.

კახი ყურაშვილმა მიმართა ექსპერტს აღნიშნული ხარვეზის დეტალური განმარტებისათვის.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნის ამ პუნქტში მოცემულია ზოგადი შეფასება, ხოლო დეტალურად განმარტებულია 1.4 პუნქტში.

საბჭოს თავმჯდომარემ, მომხსენებელს მიმართა გაეცნო აღნიშნული პუნქტის შინაარსი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ზემოაღნიშნულ პუნქტში დაფიქსირებული შენიშვნები, კერძოდ, მასწავლებელთა და კათედრის პორტფოლიოების მასალების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

II კლასის ქართული ენის სილაბუსში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასება, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილზე. აღსანიშნავია, რომ მოცემული კომენტარი ბუნდოვანია და შეიძლება არ შეესაბამებოდეს კონკრეტული მოსწავლის მიღწევებს. თუმცა მასწავლებელს წინასწარ აქვს განსაზღვრული და გაწერილი ეს კომენტარები და ზოგიერთ შემთხვევაში რჩევებიც, რომელსაც მისცემს მოსწავლეს. მაგ.: ამონარიდი - „დ) როცა მოსწავლე ვერ ძლევს საპროგრამო მასალას და არღვევს ქცევის ნორმებს, ვაკეთებთ შემდეგ კომენტარს: არის მოუსვენარი, უყურადღებო, უპასუხისმგებლოდ ეკიდება სასწავლო პროცესს, არღვევს მოსწავლეთა ქცევის წესებს, არის კონფლიქტური, მოუწესრიგებელი აქვს სასწავლო ნივთები, ხშირად ავიწყდება დავალებების შესრულება. უჭირს წერა-კითხვა, აქვს მწირი ლექსიკური მარაგი, ვერ გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს, არ აქვს მათემატიკურ მოქმედებათა შესრულების უნარ-ჩვევები. საჭიროებს ლოგოპედიის, ფსიქოლოგის დახმარებას, ინდივიდუალურ მიდგომას და დახმარებას“. კომენტარის პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ქცევის წესებზე, რაც დაუშვებელია მოსწავლის ცოდნის შეფასების დროს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმავითარებელი შეფასება უნდა აკონტროლებდეს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. შეფასების საგანი უნდა იყოს სწავლის პროცესი და არა ქცევა. სილაბუსებში ასეთი კომენტარები არის გაწერილი სხვადასხვა საგანში წარმატებული, კარგი, საშუალო მოსწავლისთვისაც. ამდენად, დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-16 მუხლის, მე-3 და მე-4 პუნქტები.

ხელოვნების შეფასების რუბრიკა სამივე კომპონენტში ოთხდონიანია ხუთდონიანის მაგივრად. ამდენად, ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმის თავი IV, მოსწავლის შეფასების სისტემა. მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი.

ბუნებისა და სამოქალაქო თავდაცვის სილაბუსში (მე-4 კლასი) შეფასების ტიპებში მითითებულია ორივე: განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის თავი IV, მე-16 და მე-17 მუხლების მე-2 პუნქტებს, რომლის მიხედვით „განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა“, „I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით...“.

პირველი კლასის მათემატიკისა და ქართული ენის თემატურ გეგმაში შეფასების მეთოდებში მითითებულია, რომ მოსწავლე სხვა მეთოდების გარდა, ფასდება ქულითაც, რაც არღვევს ეროვნული სასწავლო გეგმის IV თავის (მოსწავლის შეფასების სისტემა) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

აქედან გამომდინარე, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ხარვეზები ნამდვილად იყო გაპარული, მასწავლებლებს აღნიშნული ფორმულირებით ჰქონდათ შეფასების სისტემა გაკეთებული, შესაბამისად, სკოლამ გაითვალისწინა ეს შენიშვნები და გამოასწორა.

ხელოვნების შეფასებასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1,2 ან 3 ქულა არ იწერება და რადგან არ ხდება აღნიშნული ქულებით შეფასება, მიიჩნიეს, რომ პრობლემა არ იქნებოდა.

კახი ყურაშვილის განცხადებით, შეფასების სისტემა უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები, თუ რა ხარვეზები ფიქსირდებოდა, რომ სკოდნოდათ, აუცილებლად გამოასწორებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტები არიან ცენტრის თანამშრომლები. ისინი არ არიან დაწესებულების მიერ დაქირავებული პირები, რომლებსაც დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა ევალებათ. ამისათვის, სკოლას უნდა ჰყავდეს შესაბამისი კადრი. ექსპერტებმა, გარე შეფასების საშუალებით, უნდა აღწერონ რეალური სიტუაცია. ისინი არ არიან ვალდებულები დაწესებულებების წარმომადგენლებს განუმარტონ დაფიქსირებული შენიშვნების შინაარსი.

ბუნებისა და სამოქალაქო თავდაცვის სილაბუსებთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მითითებული იყო ორივე შეფასება, თუმცა აღწერილობა იყო მხოლოდ განმავითარებელი შეფასების. აღნიშნული ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სკოლაში სასწავლო პროცესის დოკუმენტაციის გამართულობაზე პასუხისმგებლობა, სწორედ, მას გააჩნდა და მას უნდა ეკონტროლებინა ზემოაღნიშნული, რათა არ გაპარულიყო მსგავსი ტექნიკური ხარვეზები.

1.3 სკოლას სურვილი აქვს განახორციელოს სწავლება დაწყებით საფეხურზე. პედ. საბჭოს N1 ოქმის თანახმად, სკოლამ არ შეცვალა ძველი მისია, რომელიც გათვლილი იყო სამივე საფეხურზე. მისიის მიხედვით, სკოლამ უნდა აღზარდოს პიროვნება, რომელიც „...შემდგომად გახდეს სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრი, ამავედროულად მოემზადოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის...“, ამისათვის სკოლა გეგმავს მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა „... რესპუბლიკურ კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში“. აღნიშნული, შეუსაბამოა დაწყებითი საფეხურის ამოცანებსა და მიზნებთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მისიის ზემოაღნიშნული საკითხების (მაგ. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის) რეალობაში მოყვანას. აქედან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმა ვერ უზრუნველყოფს მისიის შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ზემოაღნიშნული საკმაოდ საკამათო და შეფასებითია. მისი განცხადებით, სკოლის მისია, ღირსეულ ადამიანად აღზარდოს მოსწავლე, თუ რომელი კლასიდან უნდა განხორციელდეს, არსად წერია.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განცხადებით, საფეხურებს აქვთ თავიანთი მიზნები, შესაბამისად, ისინი მისიას არ შეესაბამოდა.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განმარტებით, რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილეობა მე-7 კლასიდანაა შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო. აღნიშნული წარმომადგენელმა სკოლის ძველ მიზნებს, როდესაც ისინი სამივე საფეხურზე ახორციელებდნენ სწავლებას და შემდეგ, არ იქნა ამოღებული.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 დაწესებულება, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ფლობს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს 7130.კვ.მ ფართობს; განაშენიანების ფართს - 1555.2 კვ.მ, ხოლო შენობა-ნაგებობის საერთო ფართს - 2516.38 კვ.მ (საკადასტრო კოდი №02.03.02.153). შენობაში საბავშვო ბაღს დათმობილი აქვს 269.48 კვ.მ. ფართი, ამდენად, შენობის საერთო ფართს უნდა გამოაკლდეს ბაღის ფართი, კერძოდ, 2516.38-269.48=2246.9

საბჭომ აღნიშნული, მხოლოდ, ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია.

2.2 სკოლა 2-სართულიანია. სკოლის შენობაში განთავსებულია საბავშვო ბაღი. აღსანიშნავია, რომ შენობის აზომვითი ნახაზის მიხედვით, გამიჯნულია სკოლისა და ბაღის ტერიტორია, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული ზღვარი მკვეთრი არ არის და ამასთანავე, არ ემთხვევა ნახაზის მონაცემებს, რადგან განლაგება შეცვლილია. საბავშვო ბაღის საძინებლის გვერდით განთავსებულია მე-6 კლასის საკლასო ოთახი, რომელიც ამავდროულად, მოწყვეტილია დაწყებითი საფეხურის სხვა კლასებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლისა და ბაღის შესასვლელები გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ექსპერტის განცხადებით, საკლასო ოთახსა და ბაღის საძინებელს აქვთ საერთო ფოიე და ოთახები ერთმანეთის პირდაპირ არის განთავსებული. საბჭომ ხარვეზი არაარსებითად მიიჩნია.

2.3 შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ოთხი სველი წერტილი, რომელთაგან ორი სველი წერტილი არ არის კეთილმოწყობილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სველი წერტილები გამოყენებადია, თუმცა სკოლაში არსებული სხვა სველი წერტილებისაგან განსხვავებით, საჭიროებს კეთილმოწყობას. საბჭომ ხარვეზი არსებითად არ მიიჩნია.

2.4 სკოლის სპორტულ დარბაზს აქვს მცირე ზომის გასახდელი (9.9 კვ.მ), რომელიც გამიჯნული არ არის სქესის მიხედვით. საბჭომ ხარვეზი ასევე არაარსებითად მიიჩნია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მას ისეთი შეგრძნება აქვს, რომ გამიჯნულად ხდება სკოლის დისკრედიტაცია და რომ ყველაფერი ისე მოაწყონ, რომ ხარვეზი დაუფიქსირდეთ.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო არ იმსახურებს დაწესებულებებისაგან მსგავს დამოკიდებულებას. საბჭოს თავმჯდომარის აზრით, არასამართლიანია, როცა მაძიებელი ვერ ხედავს, რომ საბჭო ყველა არაარსებით ხარვეზს მოხსნილად მიიჩნევს და არ იზიარებს. ამასთან, სკოლები, ნამდვილად, უნდა აკმაყოფილებდნენ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც კანონმდებლობა ადგენს.

2.5 სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას. აღნიშნული გათვალისწინებულია გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში.

საბჭომ ხარვეზი არ გაიზიარა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ასევე ჰქონდა დახურული სპორტული მოედანი, რითაც ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. აღნიშნული შენიშვნა მოიხსნა.

2.6 სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პერიოდიკის მიწოდებაზე.

ექსპერტის განმარტებით, სტანდარტის მოთხოვნაა, უნდა ხდებოდეს ბიბლიოთეკის ფონდის მუდმივი განახლება პერიოდული გამოცემებით.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 1 იანვარს დადებული ხელშეკრულება პერიოდიკის მიწოდებაზე.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ხელშეკრულება, თუმცა დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკაში იყო პერიოდული გამოცემები.

კახი ყურაშვილის განცხადებით, თუ სკოლაში იყო პერიოდიკა და საბჭოზე წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება, აღნიშნული ხარვეზი საბჭოს არ უნდა გაეთვალისწინებინა.

2.7 სკოლის სარგებლობაშია ვებ-გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ხოლო საინფორმაციო ფუნქციას - ნაწილობრივ, რადგან საიტი საჭიროებს ინფორმაციის განახლებას. მაგ.: მასზე განთავსებულია ძველი სასკოლო სასწავლო გეგმა.

დავით კახიაშვილის განცხადებით, აღნიშნული სწორი შენიშვნაა, რადგან დაწესებულების ვებგვერზე უნდა იყოს უახლესი ინფორმაცია.



2.8 სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულების თანახმად, გაწერილია დარაჯის მოვალეობები, თუმცა სკოლას, ექსპერტთა ვიზიტის დროს, არ ჰყავდა დარაჯი. სკოლას, აგრეთვე, არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სასახურთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება.

2.9 დაწესებულებას გააჩნია 4 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა და შესაბამისი ინვენტარი. გარე პერიმეტრზე, ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟებულია 2 კამერა, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს, 1 კამერა - შესასვლელში, 1 - სასადილოში. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი, რომელიც არ კონტროლდება, ამასთანავე, სკოლის დერეფნებში არ არის დამონტაჟებული კამერები. შესაბამისად, არ ხდება შიდა და გარე პერიმეტრის სრული კონტროლი.

საბჭოს წინაშე წარდგენილ იქნა შპს - „ჯესკო ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულება შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლისათვის კამერების შესყიდვის თაობაზე.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, დაადასტურა გარე პერიმეტრის კონტროლის კამერის შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

2.10 სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები ბუნდოვანია. არ არის მითითებული პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, რომლებიც სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებებზე იქნებიან პასუხისმგებლები.

ამასთანავე, დაწესებულების მისია, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ორიენტირებულია სწავლების სამივე საფეხურის განხორციელებაზე, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით, რომლის თანახმადაც, მიჩნეული იქნა, რომ სკოლის მისია უცვლელი უნდა დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა, ნაცვლად სამივე საფეხურისა, მხოლოდ დაწყებით საფეხურზე აპირებს სწავლების განხორციელებას. სამოქმედო გეგმები, არ შეიცვას ჩანაწერს, რომ სკოლა, სამომავლოდ, აპირებს საფეხურის/საფეხურების დამატებას. ამდენად, განვითარების გეგმა შესაბამისობაში არ არის სკოლის მისიასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელშიც მითითებული იყო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლის მიზანი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული პუნქტში არ ჩანს, რომ საფეხურების დამატება არის დაწესებულების სურვილი, რადგან 5 წლის შემდეგ, ავტორიზაციის გავლა, ისედაც მოუწევს ნებისმიერ ავტორიზებულ დაწესებულებას. ამდენად, საბჭოსთვის მისიისა და განვითარების გრძელვადიანი გეგმის შეუსაბამობა ნათელია.

### **3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

3.1 დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო, რომ სკოლაში ასწავლიდა 2 სერტიფიცირებული მასწავლებელი, თუმცა წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი პედაგოგის სერტიფიკატი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა მეორე პედაგოგის სერტიფიკატი, რის შედეგადაც საბჭომ შენიშვნა მოხსნა.

3.2 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგს დამთავრებული აქვს სს - ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების დამადასტურებელ დოკუმენტად, მას წარმოდგენილი აქვს სააქციო საზოგადოება „კომპასის“ კომპიუტერული სწავლების კურსის სერტიფიკატი (Windows 2000, Ms Word 2000, Ms Excel 2000) სერტიფიკატი (23.04.2004).

საბჭოს წევრის, ლალი ლოდელიანის, განცხადებით, ეს, ცალსახად დარღვევაა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სკოლას თუ ჰყავდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვა პედაგოგი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში სხვა პედაგოგი არ იყო.

დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რამდენ წლიანი გამოცდილება ჰქონდა აღნიშნულ პედაგოგს. დადგინდა, რომ მას, 2-წლიანი გამოცდილება ჰქონდა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, კვალიფიკაციის დასადასტურებლად, მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილებაა სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მატერიალური რესურსთან დაკავშირებით თითქმის ყველა შენიშვნა მოხსნა საბჭომ, ხარვეზად დარჩა ადამიანური რესურსის 3.2 პუნქტში მითითებული გარემოება და დასძინა, რომ პროგრამულ ნაწილში სკოლას საკმაოდ ბევრი ხარვეზი გააჩნია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლამ პროგრამულ ნაწილში მითითებული ხარვეზები გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო ვერ შეამოწმებს გამოსწორდა თუ არა ხარვეზები. ამის არც კომპეტენცია გააჩნია საბჭოს და არც უფლება. კანონმდებლობის მიხედვით, საბჭოს შეზღუდულია საექსპერტო ვიზიტის დროს არსებული გარემოებებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უკვე მესამეჯერ უწევთ ავტორიზაციის პროცედურის გავლა, ხოლო ერთხელ, მათ სრულიად უსამართლოდ გაუუქმდათ ავტორიზაცია.

კახი ყურაშვილის განცხადებით, მნიშვნელობა არა აქვს რაოდენობას. დაწესებულება ავტორიზაციას ვერ მიიღებს, თუ არ დააკმაყოფილა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მისი განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც მხარეს რაც არ უნდა აუხსნა, ის მაინც არ შეიცვლის აზრს და დაჩაგრულად მიიჩნევს თავს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა, ნამდვილად დაიჩაგრა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, თუ დაწესებულების წარმომადგენელი ამბობს, რომ ხარვეზები გამოსწორდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარვეზი არსებობდა; ამასთან, ყველა ხარვეზის, საექსპერტო ვიზიტის შემდგომ გასწორების დეტალური შესწავლა კანონმდებლობის შესაბამისადაც და ობიექტურადაც სცილდება საბჭოს ფუნქციებს და შესაძლებლობებს. კახი ყურაშვილის განცხადებით, ავტორიზაციის მოპოვების სურვილი, დაწესებულების ნებაყოფლობითი არჩევანია, ამდენად, როცა განაცხადი კეთდება, დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებსაც. საავტორიზაციო განცხადება სწორედ სტანდარტთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასების მზაობის განცხადებაა.

სხდომის მიმდინარეობისას, სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობელმა ითხოვა სიტყვის უფლება, რაზეც საბჭოს წევრებისგან თანხმობა მიიღო.

მისი განცხადებით, აღნიშნული ხარვეზები გამოსწორებადია და მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ხარისხიანი განათლების უფლების რეალიზების საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მოსწავლეებს ხარისხიანი განათლების უფლება რომ არ შეეზღუდოთ, სწორედ ამისკენაა მოწოდებული საბჭო. საბჭო ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან ითხოვს მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებას, დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს ავტორიზაციას, თუ ის დააკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს. საბჭო შეეცადა ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ყველა არაარსებითი, მარტივად გადასამოწმებელი და გასწორებული ხარვეზების შესახებ შენიშვნები მოეხსა, სადაო საკითხები გადაწყვიტა განმცხადებლის სასარგებლოდ, მაგრამ ავტორიზაციის მაძიებელს მაინც გააჩნია მთელი რიგი არსებითი ხარვეზებისა, რის გამოც ის პირადად ხმას ვერ მისცემს საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

საბჭომ იმსჯელა შპს - ნ&ნ 2000 - ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულება სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნ&ნ 2000 - ის ავტორიზაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 5

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნ&ნ 2000 - ს (საიდანტიფიკაციო კოდი: 216373797) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:10

სხდომა განახლდა 20:31

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ელექტროენერჯის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო სხდომის გაგრძელება, შესაბამისად მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ბოლო ორი საკითხი, რომელთა განხილვაც ვერ მოხერხდა მიმდინარე სხდომაზე, განეხილათ შემდეგ სხდომაზე. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს. სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:35 საათზე.

კახი ყურაშვილი  
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია  
მდივანი